საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი (პირველი წარდგენა), რომელშიც არსებული გამოწვევის ფონზე დაკორექტირდა მაკროეკონომიკური პროგნოზები, გაიზარდა, როგორც შემოსულობები, ისე გადასახდელები. წლის განმავლობაში გადაიხედა და დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე განახლდა არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები. 500,0 მლნ ლარზე მეტით გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, რამაც შესაძლებელი გახადა დამატებით არსებული საჭიროებების დაფინანსება. ამავდროულად შემცირდა 2023 წლისთვის დაგეგმილი ვალის აღების მაჩვენებლები. დეფიციტის და ვალის მაჩვენებლები შენარჩუნდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ზღვრების ფარგლებში: მშპ-სთან მიმართებაში ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 3%, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელმა - 38,5%. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 256,7 მლნ ლარით და შეადგინა 22,2 მილიარდ ლარამდე, ხოლო გადასახდელები გაიზარდა 431 მლნ ლარით და შეადგინა 22,3 მლრდ ლარი. დამატებით რესურსი გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე (სოციალური და ჯანდაცვის მიმართულება, განათლება, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა).

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული დოკუმენტები რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე - https://mof.ge/5603

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა დამტკიცდა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“, პროექტს თან ერთვოდა 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი და განახლებული ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები. ბიუჯეტის კანონის პროექტი (სამივე წარდგენა) და ბიუჯეტის კანონი თანდართულ მასალებთან ერთად განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე[1], ასევე 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი განთავსებულია საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე[2].

[1] https://mof.ge/5677

[2] https://www.matsne.gov.ge/document/view/6020661?publication=0

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის.

2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

პერიოდი: იანვარი - ივლისი

პროგრესი: 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2023-2026 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.[3]

მომზადდა „2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილებით. დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია, როგორც საქართველოს საკანონმდებლო მანცეს[4], ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდის მეშვეობით.[5]

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა ინფორმაცია 2024-2027 წლებისათვის საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელსაც თან ახლავს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტურის სცენარები, ასევე ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.[6]

მომზადდა 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელსაც თან ახლდა საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზები. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე[7].

---

[3] https://mof.ge/5539

[4] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5739594

[5] https://mof.ge/images/File/kanonebi-brdzanebebi/02-03-2023/BDD%20%20N90.pdf

[6] https://mof.ge/5653

[7] https://mof.ge/5653

1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები. მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის დონორების მხარდაჭერით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია განახლებულია სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ასახულია პროგრამების და ქვეპროგრამების კავშირები „პოლიტიკის კლასიფიკატორთან" (SDG, გენდერული ასპექტები, კლიმატის ცვლილება და სხვა).

პერიოდი: იანვარი - მაისი

პროგრესი: ევროკავშირის მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში 2022 წელს დაიწყო და მიმდინარეობს მუშაობა სამ საპილოტე სამინისტროსთან (საქართველოს განათლების და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინიტროები) პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით.

1.4 პროგრამების ეფექტიანობის შეფასება (Spending Review)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: შერჩეული საპილოტე სამინისტროები, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემია).

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებებით სხვა ქვეყნებში არსებული მსგავსი პრაქტიკის შესწავლა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით (ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემია), საქართველოში მათი დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასება და წინადადებების მომზადება. შერჩეული საპილოტე პროგრამის ხარჯების ანალიზისთვის (Spending Review) საჭირო ღონისძიებების დაწყება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აკადამიასთან თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო მუშაობა პროგრამების შეფასების (Spending Review) პროექტზე. OECD-ს ის ექსპერტების დახმარებით ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით მიმდინარე წლის 1-3 მაისს განხორციელდა მისიის პირველი ვიზიტი საქართველოში. განხილული იქნა პროექტის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები. გაიმართა შეხვედრები, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკის მიმართულებების დეპარტამენტებთან, ასევე დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლებთან (საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო - სსიპ - აწარმოე საქართველოში და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო). მოწვეულმა ექსპერტებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს პროგრამების/ქვეპროგრამების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებებით სხვა ქვეყნებში არსებული მსგავსი პრაქტიკა. ასევე, დაიგეგმა პროექტის განხორციელების შემდგომი ნაბიჯები.

1.5 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, როგორც დასაგეგმი, ისე შესრულების შესახებ ინფორმაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის[8] და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტი[9] მოიცავს დანართს - „საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა“, სადაც წარმოდგენილია საშუალოვადიანი პროგნოზების გადახრები და შესაბამისი განმარტებები, ასევე შესაბამისობა ფისკალურ წესებთან.

1.6 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი საინვესტიციო პროექტების შეფასება საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციალებელი ღონისძიებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები, რომლებიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტში და საშუალოვადიან ჩარჩოში შეფასებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათ შორის გათვალისწინებულია პროექტების ზეგავლენა კლიმატის ცვლილების საკითხებზე და გენდერული ასპექტები.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები საერთაშორისო პარტნიორების (WB, EU) მხარდაჭერით.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIM) საბოლოო კონცეფცია და სატესტო ვერსია მომზადებულია ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (e-budget) ინტეგრირების მიზნით.

პერიოდი: აპრილი - ივნისი

პროგრესი: მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით დამტკიცდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია, რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდის[10], ასევე სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდის მეშვეობით.[11]

აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავდა არსებული პრაქტიკის და საჭიროებების გათვალისწინებით, მათ შორის ცვლილებების ძირითადი პრინციპების განხილვა და შეჯერება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიური დახმარების მისიასთან. დაზუსტდა პროექტების მართვის პროცედურები. საქართველოს ფინანსთა

[8] https://mof.ge/5653

[9] https://mof.ge/5677

[10] https://mof.ge/5615

[11] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5724007?publication=0

სამინისტროში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა ახალი კაპიტალური პროექტების შეფასება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ეკონომიკური საბჭოსთვის წარდგენა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის განახლებული მეთოდოლოგიით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) რეფორმის დანერგვის გაუმჯობესების მიმართულებით, ევროკავშირის მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარდა საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) ტრენინგების ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც სამინისტროების, ასევე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა. ამ მიმართულებით გადამზადდა 60-ზე მეტი თანამშრომელი სხვადასხვა უწყებიდან.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით მომზადდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის (E-PIM) კონცეფცია და დაიწყო მუშაობა ელექტრონული სისტემის შექმნის მიმართულებით.

„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის N433 ბრძანებით[12] დამტკიცდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესი. აღნიშნული ბრძანება ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასებისა და სამინისტროს პოზიციების შეჯერების მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად და აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 4 დეკემბრის N461 ბრძანებით დამტკიცდა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასებისა და აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის დებულება, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე[13].

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად 2023 წელს განხილული ახალი პროექტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.[14]

1.7 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:
2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

2023 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

[12] https://mof.ge/images/File/28.11.2023/ministris%20brZaneba.pdf
[13] https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/12-01-2024/WG-brdzaneba%202023.pdf
[14] https://mof.ge/5615

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების ანალიზი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: კანონმდებლობის შესაბამისად და დადგენილ ვადებში მომზადდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადდა ინფორმაცია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ოქტომბრის N1842 განკარგულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის 2022 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს, როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.[15]

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები, 3[16], 6[17] და 9[18] თვის შესრულების ანგარიშები რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, კვარტალურ და წლიურ ანგარიშში აისახა სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების შემოსავლების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული საწარმოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მონაცემები აისახა სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებში.

წინა წლებისგან განსხვავებით, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს თან ახლავს დანართი ადამიანური კაპიტალის მიზნების (Human Capital Program) შესრულების მდგომარეობის შესახებ.

1.8 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:
ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

[15] https://mof.ge/5641
[16] https://mof.ge/5647
[17] https://mof.ge/5663
[18] https://mof.ge/5681

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში 2023 წელს ხელმეორედ განხორციელდა ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (FTE). 2017 წლის შეფასებასთან შედარებით ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის სამივე ძირითადი მიმართულებით მიღწეულ იქნა პროგრესი და რეიტინგები გაუმჯობესდა 36 ინდიკატორიდან 15 ინდიკატორთან მიმართებაში. ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების (FTE) შეფასების მიხედვით საქართველოს აქვს საუკეთესო და კარგი პრაქტიკა 36 ინდიკატორიდან 27 ინდიკატორთან მიმართებაში. მიმდინარეობს ტექნიკური დეტალების შეთანხმება და აღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნება მოსალოდნელია ახლო მომავალში.

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდის მეშვეობით[19] კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მათ შორის:

- 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს);[20]
- 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს);[21]
- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი);[22]
- საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს);[23]
- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი) (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს);[24]
- საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე - მოქალაქის გზამკვლევი;[25]
- საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე - ბროშურა;[26]
- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის - მოკლე მიმოხილვა;[27]
- საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშზე - ბროშურა;[28]
- საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიშზე - ბროშურა.[29]

---

[19] https://mof.ge/5109
[20] https://mof.ge/5641
[21] https://mof.ge/5647
[22] https://mof.ge/5539
[23] https://mof.ge/5653
[24] https://mof.ge/5653
[25] https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2023/08-02-2023/Citizens%20Guide%202023-kanoni.pdf
[26] https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2023/11-01-2023/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%202023%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94.pdf
[27] https://mof.ge/images/File/2023/biujeti_mimartulebebi/23-02-2023/2023-2026%20bdd%20mokle.pdf
[28] https://mof.ge/images/File/2023/shersulebis_angarishebi/08-06-2023/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf
[29] https://mof.ge/images/File/2023/shersulebis_angarishebi/20-06-2023/3%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%202023.pdf

- 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს)[30];
- საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშზე - ბროშურა[31];
- 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს)[32];
- საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშზე - ბროშურა[33];
- ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს)[34];
- „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი" (პირველი წარდგენა) (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს)[35];
- ბიუჯეტსა და პოლიტიკის მიმართულებებს შორის კავშირების გაძლიერების მიზნით შემუშავებული დანართის ნიმუშები[36].

USAID-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით. დაგეგმილია ელექტრონული პორტალის (e-BTPS.mof.ge) ფუნქციონალის გაუმჯობესება და მისი სრულყოფილად დანერგვა.

მომზადდა მოქალაქის გზამკვლევები „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე [37] და დამტკიცებულ კანონზე [38], რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის მეშვეობით.

1.9 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული 2023 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პირობების შესრულების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ხორციელდება ამ პირობების შესრულების მონიტორინგი.

გაანალიზებულია და შეფასებულია 2017-2018 წლებში შეფასებული არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების მართვა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) მეთოდოლოგიის მიხედვით.

პერიოდი: მარტი - დეკემბერი

პროგრესი: 2022 წლიდან ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელმეორედ შეფასება სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level - PEFA). 2022 წელს შეფასდა 3 (ქ. თბილისი, ქ. ბათუმი და მარტვილი) მუნიციპალიტეტი და ვალიდირებულია მსოფლიო ბანკის მიერ, ხოლო 2023 წელს GIZ-ის

---

30 https://mof.ge/5663

31 https://mof.ge/images/File/2023/shersulebis_angarishebi/29-09-2023/2023%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%206%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90.pdf

32 https://mof.ge/5681

33 https://mof.ge/images/File/2023/shersulebis_angarishebi/06-11-2023/2023-9%20Tvis%20Shesrulebis%20broshura.pdf

34 https://mof.ge/5653

35 https://mof.ge/5677

36 https://mof.ge/5109

37 https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2023/13-10-2023/Citizens%20Guide%202024-1.pdf

38 https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2024/22-01-2024/Citizens%20Guide%202024.pdf; https://mof.ge/images/File/2024_Biujeti/05-04-2024/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%202024.pdf

(რუსთავი, ხაშური, დუშეთი, ფოთი, ზესტაფონი, ლაგოდეხი) და USAID-ის (ქუთაისი, მარნეული, ონი) მხარდაჭერით შეფასდა დამატებით 9 მუნიციპალიტეტი PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით.

1.10 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად თანმდევი კანონპროექტის სახით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მიმართულებების და მუნიციპალიტეტების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, ასევე სახელმწიფო ხაზინის ფულადი რესურსების მართვის მოქნილობის ხარისხის გაზრდის მიმართულებით.

1.11 სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) არსებობს სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაკავშირების მექანიზმი.

საერთაშორისო პარტნიორების (UN WOMAN, WB), ასევე ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, შერჩეულია საპილოტე სამინისტროები და ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები კლიმატის ცვლილების და გენდერული ასპექტების ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით (tagging).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: „2024 – 2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 თებერვლის N90 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დარეგულირდა სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას შორის კავშირების გაძლიერების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და კოორდინაციის მექანიზმები.

- ✓ **გენდერულ ჭრილში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ქვეპროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირების პროცესი** სამინისტროების მიერ ხორციელდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან კოორდინაციით;
- ✓ **კლიმატის ცვლილების საკითხებთან ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და ქვეპროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირების პროცესი** სამინისტროების მიერ ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინიტროსთან კოორდინაციით;

2024 წლის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართში[39] ასახულია კავშირები შესაბამის პოლიტიკურ კლასიფიკატორთან. კერძოდ:

- ✓ **გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კლასიფიკატორთან შვიდმა სამინისტრომ** *(საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან*

[39] https://mof.ge/5677 - https://mof.ge/images/File/2024_Biujeti/03-04-2024/18.programuli%202024.doc

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) **დააკავშირა მათი პროგრამები/ქვეპროგრამები;**

- ✓ **კლიმატის ცვლილების (შერბილება/ადაპტაცია) პოლიტიკის კლასიფიკატორთან სამმა სამინისტრომ** *(საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)* **დააკავშირა მათი პროგრამები/ქვეპროგრამები;**
- ✓ **გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) დაკავშირებულია 7 სამინისტროს პროგრამები;**
- ✓ **ადამიანური კაპიტალის მიზნებთან დაკავშირებული 3 სამინისტროს პროგრამები. და სხვა.**

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დანართის ნიმუში - „სამთავრობო სტრატეგიების ფისკალური გავლენა საშუალოვადიან პერიოდში“, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს სამთავრობო სტრატეგიების ფისკალური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში და აღნიშნული დანართი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პაკეტის შემადგენელი ნაწილი. დანართის ნიმუში შეთანხმდა შესაბამის სამინისტროებთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან. შეთანხმების ოქმი და ინფორმაცია დანართის ნიმუშის შესახებ განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ქართულ[40] და ინგლისურ[41] ენაზე.
ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი შედეგების მისაღწევად.

II - მთავრობის ვალის მართვა

2.1 მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის შემუშავება 2023-2027 წლებისთვის და მისი გამოქვეყნება ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის №328 ბრძანების შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში მიმდინარეობდა მუშაობა 2024 – 2027 წლების მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმნეტზე. განახლდა რიცხვითი მონაცემები და დამუშავდა სტრატეგიული მიმართულებები. სტრატეგიის დოკუმენტი საჯარო განხილვებისთვის ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება მე-4 კვარტლის ბოლოსკენ. ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდება სტრატეგიის დოკუმენტის მთავრობისთვის წარდგინება მოსაწონებლად.

---

40 https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/04-10-2023/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20-%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pptx; https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/29-09-2023/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%20-%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%2028.09.2023.docx

41 https://mof.ge/images/File/04.12.2023/2.%20meeting%20minutes.docx; https://mof.ge/images/File/04.12.2023/1.%20Policy%20Classifier-ENG.pptx

2.2 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონის განახლება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მსოფლიო ბანკის ტექნიკური დამხარების მისიის ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის პროექტზე. ახალი კანონი უზრუნველყოფს სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ვალის განმარტებების შესაბამისობას საჯარო ფინანსებისა და საჯარო სექტორის ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოებთან და მათ ურთიერთთავსებადობას. წლის განმავლობაში ცვლილების პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების და იურიდიულ დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით.

2.3 მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.3.1 ვალდებულებების მართვის ოპერაციების ფარგლებში ახალი ინსტრუმენტების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამოსყიდვის (Buy-Back) ოპერაციების გამოყენება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: არსებული გამოსყიდვის გეგმის შესაბამისად ოთხე კვარტალში ჩატარდა სამი გამოსყიდვის აუქციონი და დაგეგმილი 90 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდებიდან გამოსყიდულ იქნა 62 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ფასიანი ქაღალდები. მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მიმდინარეობდა საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ერთობლივ ბრძანების ცვლილების პროექტზე მუშაობა გაცვლის აუქციონების დანერგვის მიზნით. ცვლილებაზე მუშაობა წრმატებით განხორციელდა და მე-4 კვარტლის ბოლომდე ბრძანება გამოქვეყნდება მაცნეზე.

2.3.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ჩართვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამას 2023 წლის პირველი იანვრიდან დაემატა 2018 წელს გამოშვებული, საწყისი ვადიანობით 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები. ამჟამად, საპილოტე ფაზაში "აქტიური" სტატუსი აქვს აღნიშნულ ობლიგაციას და 5 წლიანი ვადიანობის 2022 წელს გამოშვებულ ობლიგაციას.

შენიშვნა: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის მორიგი შეფასების საფუძველზე, წლის მეორე ნახევარში მიიღება გადაწყვეტილება პროგრამის გაფართოების შესახებ.

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერ

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, ჩატარდა დამატებით შემოსაღები IPSAS-ების ანალიზი. დატრენინგდა ხაზინის თანამშრომლები აღნიშნულ სტანდარტებში. შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწისა და IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღების მიზნით. რეკომენდაციების შესაბამისად, მიმდინარეობს ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სექტორის ბუღალტრები გადამზადებულები არიან და პრაქტიკაში იყენებენ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ ფარლებში მიღებულ ცოდნას IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარეობს IPSAS სტანდარტებში ტრენინგები საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრებისათვის, რაც გულისხმობს აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საჯარო სექტორის 420 ბუღალტრისათვის შეძენილ იქნა PwC-ს მიერ შემუშავბულ **IPSAS in a box** ონლაინ სწავლების პლატფორმაზე წვდომა, ჩატარდა ტრენინგები IPSAS სტანდარტების ძირითად მოთხოვნებსა და ასევე, ამ პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადებულია მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობისთვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ - ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გამოქვეყნდა სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე http://www.treasury.ge.

შენიშვნა: დასრულებულია

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; ბიზნეს-პროცესები დახვეწილია/გამარტივებულია და გამართულად ფუნქციონირებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების/მოდულების დახვეწა და არსებული ბიზნეს-პროცესების გამარტივება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები ჩართულნი არიან სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები; შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა და მიმდინარეობს საჯარო სკოლების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების პროცესი. დღეისათვის სახელმწიფო მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირებულია 585 საჯარო სკოლა.

2.3 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი ტრენინგ-პროგრამა და მიმდინარეობს ტრენინგები საჯარო სკოლების წარმომადგენლებისათვის, ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. დღეისათვის დატრენინგებულია 585 საჯარო სკოლის წარმომადგენლები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დასრულება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

- საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დასრულება საგადასახადო კანონმდებლობის ევროპის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC დირექტივასთან შემდგომი დაახლოების მიზნით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი.

1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული ორსვეტიანი გეგმის მეორე სვეტით გათვალისწინებული წესების დანერგვა.
- დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ, საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობდა მუშაობა საგადასახადო კოდექსში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განსახორციელებელ ცვლილებებზე და მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტები.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან თანამშრომლობით, კვლევითი ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფის პლატფორმის ფარგლებში, მომზადდა მოგების გადასახადის რეფორმის კვლევის შედეგები და ქონების გადასახადის რეფორმის გავლენის ანალიზი.

განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელთა შედეგად გამარტივდა გადასახადების ადმინისტრირება, შეიცვალა აქციზით დაბეგვრის რეჟიმი ზოგიერთი სახის თამბაქოს ნაწარმისთვის, გაიზარდა მსუბუქი ავტომობილის ექსპორტისას აქციზის თანხის დაბრუნებისთვის განსაზღვრული ვადა, განხორციელდა საგადასხადო სანქციების ოპტიმიზაცია და შეიცვალა იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული გადასახადების ეფექტური ადმინისტრირებისთვის ზოგიერთი საქონლის აქციზით დაბეგვრის რეჟიმი.

შეიცვალა სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირების საშემოსავლო და მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმი და ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის მომწყობ პირთათვის საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთები, ხოლო მოთამაშეებისათვის - საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი. დაიწყო საპილოტე პროგრამა ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით შემუშავებული ორსვეტიანი გეგმის მეორე სვეტის დანერგვის მიზნით, რომლის ფარგლებშიც თებერვლის თვეში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტებთან და გრძელდება მუშაობა.

დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, გამოიცა 2023 წლის 28 მარტის N107 საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილება „ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“.

მომზადებულია საჯარო გადაწყვეტილების პროექტები ,,მომხმარებელთა მიერ ქულების დაგროვების ლოიალურობის სქემის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“ და „საქონლის/მომსახურების გაცვლის ოპერაციის (ბარტერული ოპერაციის) დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“

რომელთა განხილვაც მიმდინარეობს საჯარო გადაწყვეტილებების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ფორმატში. საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტებზე.

1.3 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საბაჟო კოდექსის სრულყოფის მიზნით სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის შემუშავება და საბაჟო ტარიფის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება. აგრეთვე, საბაჟო კოდექსის X წიგნის ამოქმედებისა და ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ცვლილება შევიდა საქართველოს საბაჟო კოდექსში, რომელიც არსებული გამოწვევების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების ეფექტურობის ამაღლებას, ასევე მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნასა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას.

მიღებულ იქნა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომელმაც საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სასაქონლო კოდები შესაბამისობაში მოიყვანა საქონლის დასახელებების „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2022 წლის რედაქციის ნომენკლატურასთან.

1.4. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ" შეთანხმებების დადების/არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვის და ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ასევე საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის/შემდგომი მონიტორინგის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით შესაბამის ქვეყნებთან სინთეზირებული ტექსტების მომზადება და გამოქვეყნება.

ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული პირველი და მეორე სვეტის (Pillar 1 and Pillar 2) შესახებ მიღებული შეთანხმებების ეტაპობრივი იმპლემენტაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ საქართველოსა და მალაიზიას შორის შეთანხმების დადების მიზნით, 15-17 მაისს საქართველოს ეწვია მალაიზიის დელეგაცია და გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი.

მიმდინარე წლის 10 მარტს ოფიციალურად დაიწყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საქართველოს შეფასება, საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდთან დაკავშირებით, 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელდა OECD-ის სამდივნოს და გლობალური ფორუმის შემფასებელი ჯგუფის ვიზიტი.

ასევე მომზადდა და მიღებულ იქნა საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, მათ შორის მეორადი კანონმდებლობა. საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის ფარგლებში სხვადასხვა იურისდიქციებთან ინფორმაციის გაცვლის პროცესის დაწყების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამდივნოსთვის მისაწოდებელ შეტყობინებებზე.

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) მე-5 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვის შეფასების ფარგლებში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმის (FHTP) სამდივნოს გადაეგზავნა „ვირტუალური ზონის პირის“ და „საერთაშორისო კომპანიის“ შესახებ ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში შევსებული კითხვარი. აღნიშნული კითხვარების საფუძველზე, საქართველოში არსებული პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმები, აპრილის თვეში პარიზში გამართული ფორუმის შეხვედრის ფარგლებში, შეფასდა, რომ შეესაბამება OECD-ის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

BEPS პროექტის მე-6 ღონისძიების იმპლემენტაციის ფარგლებში (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა) OECD-ის სამდივნოსთვის მიწოდებულ იქნა, შევსებული ყოველწლიური კითხვარი, რომელიც მოიცავდა საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისობას მინიმალურ სტანდარტთან მიმართებით.

მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით, BEPS-ის მე-13 ღონისძიების (გარიგების, შეფასების დოკუმენტაცია და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება) ფარგლებში, ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების სტანდარტის დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი გარემოს შესაქმნელად, მომზადებულია მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი. .

დასრულდა მრავალმხრივი საგადასახადო კონვენციით (MLI) მოცულ და ძალაში შესულ სინთეზირებულ ტექსტებზე მუშაობა, სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოიცა ყველა დამუშავებული ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენაზე. OECD-ის სამდივნოსთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, დამტკიცდა MLI კონსოლიდირებული ვერსია და დაიწყო შიდაპროცედურების განხორციელება, საქართველოსთან ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ყველა შეთანხმებებზე MLI-ის გავრცელების თაობაზე.

„შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ საქართველოსა და მონტენეგროს შორის შეთანხმების დადების მიზნით, 20-22 სექტემბერს საქართველოს ეწვია მონტენეგროს დელეგაცია და გაიმართა მოლაპარაკებების პირველი რაუნდი.

1.5 საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება

1.5.1 ამოცანა: კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

<u>**აქტივობა - გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგის განსაზღვრა**</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ გადამხდელის გარემოში შესაბამისი მოდული ინტეგრირებულია.
- ✓ ფოკუს ჯგუფები განსაზღვრულია და უკუკავშირი შეფასებულია.
- ✓ მიმდინარეობს მოდულის მუშაობა სატესტო რეჟიმში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი მეოთხე კვარტლის მდგომარეობით:

ქცევის რეიტინგი და მასთან დაკავშირებული ჩანართები (უკუკავშირის ფორმა, განმარტებითი ტექსტი და ა.შ.) ინტეგრირებულია რეალურ გარემოში.

განხორციელდა გადამხდელებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის გაცნობა, როგორც პირისპირ შეხვედრის, ასევე ონლაინ ფორმატის მეშვეობით. განისაზღვრა პირველადი საპილოტე პოპულაცია, რომელთაც ჩაერთოთ ქცევის რეიტინგის მოდული.

მიმდინარეობს მონიტორინგი, ხარისხის კონტროლის პროცესი და უკუკავშირის შეფასება.

<u>**აქტივობა - მონაცემთა საცავში (Data Warehouse) რისკის კრიტერიუმების ავტომატიზაცია და მასში ახალი წყაროების მონაცემების ასახვა**</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ყოველთვიური მოგების და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების ავტომატური კონტროლის პროგრამების რისკის კრიტერიუმები ინტეგრირებულია მონაცემთა საცავში;
- ✓ მონაცემთა საცავში ინტეგრირებულია მესამე მხარის არანაკლებ ორი წყაროსგან მიღებული მონაცემი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

დასრულდა მოგების ყოველთვიური და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამის რისკის კრიტერიუმებზე მუშაობა.

მესამე მხრიდან მონაცემთა საცავში ინტეგრირებულია:

1. კომერციული ბანკების მიერ მოწოდებული უნაღდო გადახდის მეთოდით (ტერმინალით), საქონლის/ მომსახურების რეალიზაციის მიზნით გადახდის ოპერაციის მიმღების მიერ მიღებული გადახდების შესახებ ინფორმაცია.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, მონაცემთა საცავში ინტეგრირების მიზნით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მესამე მხრიდან მისაღებ ახალ მონაცემებზე.

გარდა აღნიშნულისა, დასრულდა მუშაობა მსხვილ გადამხდელთა რისკის ინდიკატორების ტექნიკური დოკუმენტის შექმნაზე და რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემოში (BI) შესაბამისი მოდულის აგებაზე, მიმდინარეობს ტესტირების პროცესი.

საგადასახადო შემოწმებით დარიცხული ამოუღებელი თანხების რეპორტის შექმნის მიზნით, შემუშავდა ტექნიკური დოკუმენტი და აიგო შესაბამისი რეპორტი რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემოში (BI).
ბიზნეს მოთხოვნის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელთა ქცევის რეიტინგის მოდულს დაემატა ახალი კრიტერიუმი და შედეგების გაუმჯობესების მიზნით - მოდიფიცირდა რამდენიმე კრიტერიუმი. მიმდინარეობს მუდმივი პროცესი მონაცემთა საცავში გასს-დან ახალი ცხრილების შემოტანაზე.
შეიქმნა შესრულებული დავალებების ანგარიშის რეპორტის საპილოტე ვერსია.

<u>აქტივობა - ძირითად გადასახადებში დეკლარაციების ავტომატური კონტროლის სისტემის დანერგვა</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ მოგების გადასახადის დეკლარაციების სისწორის ავტომატური კონტროლის პროგრამა დანერგილია.
- ✓ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების ავტომატური კონტროლის პროგრამაში რისკის ინდიკატორები დამატებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

განხორციელდა აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან გადასახადის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამის ფარგლებში ინიცირებული დავალებების შესრულების ხარისხის შეფასება.

აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა პროგრამის ხარისხის კონტროლის შეფასების დოკუმენტი.

<u>აქტივობა -სამიზნე ჯგუფებში კანონშესაბამისობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

2023 წლის კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით განსაზღვრული აქტივობები შესრულებულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებით:

- ✓ ვაჭრობის დარგი;
- ✓ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი;
- ✓ სამშენებლო საქმიანობა;
- ✓ მსხვილი გადასახადის გადამხდელები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:
1. ვაჭრობის დარგი;

2023 წლის მეოთხე კვარტალში დასრულდა ვაჭრობის დარგის პოპულაციის დახვეწის მიზნით შემუშავებული ლოგიკების ინტეგრაცია შესაბამის პროგრამულ გარემოში. ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობისა

და საგადასახადო ვალდებულებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიწყო გადასახადის გადამხდელების ინფორმირება კომუნიკაციის კამპანიის მეშვეობით.

2. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი;

ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობისა და საგადასახადო ვალდებულებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიწყო გადასახადის გადამხდელების ინფორმირება კომუნიკაციის კამპანიის მეშვეობით. მიმდინარეობს კონსულტაციები ბიზნეს ასოციაციებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან კამპანიის წარმატებით განხორციელების მიზნით.

3. სამშენებლო საქმიანობა;

დასრულდა რისკის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა სეგმენტაცია. ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობისა და საგადასახადო ვალდებულებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიწყო გადასახადის გადამხდელების ინფორმირება კომუნიკაციის კამპანიის მეშვეობით.

4. მსხვილი გადასახადის გადამხდელები.

მიმდინარეობს მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავება. შემუშავებულია უკუკავშირის მექანიზმის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაციის ფორმა. შექმნილია მსხვილ გადამხდელთა „დეკლარაციების კონტროლის“ მოდული. მსხვილი გადასახადის გადამხდელთა თითოეული კლასისთვის შედგენილია კანონშესაბამისობის თანამშრომლური მიდგომებისათვის ჩარჩო დოკუმენტი. გადამხდელთა ანალიზის პროცესში ჩართულია მსხვილ ბიზნესთან დაკავშირებული/აფილირებული პირები. განახლდა მსხვილ გადასახადის გადამხდელებთან ასოცირებული საგადასახადო რისკების რეესტრში რისკის კრიტერიუმები. რისკის ლოგიკების დოკუმენტი შემუშავებულია და ინტეგრირებულია DW გარემოში. შემუშავებულია შეცდომის ტიპების კატალოგი და შეიცავს არანაკლებ ორ საგადასახადო რისკს. განხორციელდა მსხვილ გადამხდელთა კატეგორიის განმსაზღვრელი კრიტერიუმების ზღვრული მაჩვენებლების ცვლილების საჭიროების ანალიზი, ინიცირება და იმპლემენტაცია.

<u>**აქტივობა - სარეგისტრაციო მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება**</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საგადასახადო რეგისტრაციის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის ახალი პროცედურები დანერგილია;
- ✓ სწორი საკონტაქტო და ძირითადი განზომილებების შესახებ ინფორმაციის მქონე გადამხდელების წილი შეადგენს >90%.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის პროგრამული უზრუნველყოფისთვის საჭირო ტექნიკური სამუშაოების მიმდინარეობისას გამოიკვეთა ინფორმაციის გაცვლის სირთულეები. პროცესში მონაწილე მხარეების მხრიდან საჭირო გახდა გარკვეული საკითხების დაზუსტება, რა დროსაც მოხდა მონაცემების გაცვლის თანხმობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების ცვლილება. საჯარო რეესტრში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში შეიქმნა ციფრული მმართველობის სააგენტოსგან დამოუკიდებელი IT სამსახური. აღნიშნულმა გამოიწვია ორ უწყებას შორის ფუნქციების გამიჯვნა და პროექტის მიმდინარეობის შეფერხება.

მემორანდუმის გაფორმების მიზნით დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე უკუკავშირი მიღებული იქნა ორი უწყებისგან, რაც გამოწვეული იყო ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით უწყების თანხმობაზე/უარზე.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია გადახდების არსებული წესის ცვლილება, რისთვისაც განხორციელდა ერთიან სახაზინო კოდზე გადახდების ანალიზი და კომერციულ ბანკებს წარედგინათ გადახდების გაუმჯობესების ხედვა. საკითხები შეთანხმდა კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან და დაიგეგმა ტექნიკური სამუშაოები. მიმდინარეობს მემორანდუმის შემუშავება.

პროექტის დასრულება დაგეგმილია 2024 წლის პირველ ნახევარში და დამოკიდებულია კომერციული ბანკების მხრიდან სამუშაოების შესრულებაზე.

2. გადამხდელის შესახებ მონაცემთა ხარისხის კონტროლი წარმოადგენს პერმანენტულ პროცესს.

აქტივობა - დროული დეკლარირების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ძირითად გადასახადებში დროულად დეკლარირების 90%-იანი მაჩვენებელი მიღწეულია/შენარჩუნებულია;
- ✓ სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი გავრცელებულია დამატებით ერთ გადასახადზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

1. 5 ძირითადი გადასახადიდან დღგ-ის და ყოველთვიური მოგების გადასახადში შენარჩუნებულია 90%.
2. სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი დამატებით დეკლარაციაზე არ გავრცელებულა.

1.5.2 ამოცანა: საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

აქტივობა - eTIR სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:
1. TIR პროცედურის მფლობელის ავტორიზაციისთვის პროგრამული მოდული (ITDB) შემუშავებულია და გაშვებულია სამუშაო რეჟიმში.
2. eTIR პროგრამული მოდული შემუშავებულია და გაშვებულია სამუშაო რეჟიმში.
პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის რეკომენდაციით, აღნიშნული მიმართულებით სამუშაო პროცესი დაიწყება მე-4 კვარტლის ბოლოს და გაგრძელდება 2024 წლის განმავლობაში.

1.5.3 ამოცანა: საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება

<u>აქტივობა - საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა</u>

შესრულების მაჩვენებელი:

1.ქეის მენეჯმენტი დანერგილია საგადასახადო შეთანხმების ჭრილში;
2. ქეის მენეჯმენტი დანერგილია სამართლებრივი საკითხების ჭრილში;
3. ქეის მენეჯმენტი დანერგილია სასაქონლო ექსპერტიზის ჭრილში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმის ფარგლებში:

1. საგადასახადო შეთანხმებების ჭრილში, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ ქეის-მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფა ნაწილობრივ შესრულებულია, პერიოდულად ემატება ახალი მოთხოვნები და დავალებები მეთოდოლოგიის დეპარტამენტის მხრიდან;
2. სამართლებრივი საკითხების ჭრილში, ქეის-მენეჯმენტის ტესტირება დასრულებულია და გაშვებულია რეალურ გარემოში;
3. სასაქონლო ექსპერტიზის ჭრილში, სამუშაო ჯგუფის მიერ ქეის-მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით ტექნიკური დავალების დოკუმენტი გაიგზავნა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში და აღნიშნული დავალების შესრულება გადაიწევს 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.

1.5.4 ამოცანა: დაინტერესებულ პირთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების განვითარება

<u>აქტივობა - სამსახურის სერვისების ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. შემუშავებულია სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები სერვისების 40%-ზე.
2. შემუშავებულია სერვისის მიწოდების სახელმძღვანელოები და ბიზნეს პროცესის რუკები სერვისების 40%-ზე.
3. შემუშავებულია შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის დიზაინისა და სტრუქტურის ცვლილების კონცეფცია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

1. შემუშავებულია სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები სერვისების 100%. (წლიურ ჭრილში)
2. შემუშავებულია სერვისის მიწოდების სახელმძღვანელოები და ბიზნეს პროცესის რუკები სერვისების 100%-ზე. (წლიურ ჭრილში)
3. კონცეფცია მომზადებულია.

1.5 ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა

1.6.1. ამოცანა: საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება

<u>აქტივობა - საბაჟო მონაცემთა საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. კონტრაქტორი მხარის მიერ მოთხოვნილი ბიზნეს პროცესები აღწერილია.

2 დეკლარირებასთან დაკავშირებული პროგრამული მოდულების ფუნქციური / არაფუნქციური მოთხოვნები განსაზღვრულია.
3. საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროგრამული მოდულების ფუნქციური / არაფუნქციური მოთხოვნები განსაზღვრულია.
4. დეკლარირებასთან დაკავშირებული პროგრამული მოდულების ტესტირება დასრულებულია.
5.საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროგრამული მოდულების ტესტირება დასრულებულია.
პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

დონორ ორგანიზაციის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით პროექტი შეჩერდა.

1.6.2 ამოცანა: ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

<u>აქტივობა - ISO 27001 სტანდარტის დანერგვა</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი: ISO 27001 სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები დანერგილია.
პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების დოკუმენტები:

- წვდომის კონტროლის პოლიტიკასა და პროცედურა, რომლებიც მოიცავს სამსახურის კრიტიკულ ინფორმაციულ ბაზებს Oracle და Asycuda;
- ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები - BIA, IT სერვისების უწყვეტობის გეგმა;
- ინციდენტების მართვის პროცედურა;
- ცვლილებების მართვის პროცედურა;
- დოკუმენტების კლასიფიკაციის პოლიტიკა;
- ფიზიკური წვდომის პოლიტიკა.

შემოსავლების სამსახურის მიერ შეძენილ და დაინსტალირებული იქნა მონაცემთა გაჟონვის პრევენციის ხელსაწყო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელსაწყოს გამოყენების წესებისა და პოლიტიკის შემუშავება. ასევე, მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კურსი.

თითქმის სრულად შესრულდა OECD და Global Forum-ის აუდიტორთა შეფასებისას გაცემული რეკომენდაციები. ამ ეტაპზე, შესასრულებელია ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება თანამშრომელთა მხრიდან საკუთარი მოწყობილობების (ლეპტოპების/კომპიუტერების) გამოყენების შეზღუდვას სამსახურის მონაცემთა ბაზებზე წვდომისთვის.

1.6.3 ამოცანა: ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის განვითარება

<u>აქტივობა - ოპერაციული რისკების რეესტრების შემუშავება</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:
შემუშავებულია სამსახურის არანაკლებ 2 დეპარტამენტის ოპერაციული რისკების რეესტრი.
პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

მიმდინარეობს მუშაობა დავების, მეთოდოლოგიისა და სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტების რისკების რეესტრის შემუშავებაზე.

1.6.4 ამოცანა: ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

<u>აქტივობა - ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვა</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. ტრანზიტის საერთო კონვენციის შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტები ეროვნულ დონეზე შემუშავებულია.
2. გადამზადებულია საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები.
3. განხორციელებულია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ პირებთან.
4. ტრანზიტის აპლიკაცია ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

1. ტრანზიტის საერთო კონვენციის შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტები ეროვნულ დონეზე შემუშავებულია;
2. გადამზადებულია საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომლები;
3.განხორციელებულია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ პირებთან;
4.ტრანზიტის აპლიკაცია ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს.

V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

<u>1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის გაფართოებული ანალიტიკური პროდუქტები, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები, მონაცემთა დამუშავების გაფართოებული ცენტრალიზებული სისტემა

პერიოდი: იანვარი - სექტემბერი

პროგრესი: გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. ასევე, საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზის შედეგად ხდება საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შეფასება. იხვეწება მონაცემთა დამუშავების სისტემა, რათა ოპერატიულად განხორციელდეს ინფორმაციის მიღება-დამუშავება. ხდება ყოველთვიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის შეფასება და ფაქტობრივიდან გადახრის მიზეზების ანალიზი, პროგნოზის დახვეწის მიზნით.

<u>1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

პერიოდი: იანვარი - სექტემბერი

პროგრესი: სამინისტროს ვებ-გვერდზე ქვეყნდება როგორც ყოველთვიური, ასევე - კვარტალური მიმოხილვები. გრძელდება ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის გაუმჯობესება-დახვეწა სხვადასხვა ანალიტიკური თუ ვიზუალური მაჩვენებლების გამოყენებით. ხდება ფულადი გზავნილების შესახებ ყოველთვიური და ტურიზმის შესახებ კვარტალური ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა. ასევე ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზი ყოველთვიურად. მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესეთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებებსა და ინვესტორებზე.

1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: აღნიშნულ პერიოდში კვლევითი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა, თუმცა დასრულებულია საგადასახადო დანახარჯების გავლენის შეფასების ანგარიში და მიმდინარეობს საბოლოო კომენტარების გათვალისწინება მის გამოქვეყნებამდე. ასევე სრულდება DSGE მოდელის ქართული ვარიანტის დოკუმენტის სახით შემუშავება, რისი გამოქვეყნებაც ასევე იგეგმება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების განახლებული ანალიზი, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება ნახევრადსტრუქტურული მოდელის შემუშავება, რომლის საშუალებითაც დამატებით მოხდება ეკონომიკის სხვადასხვა შოკებისა და სცენარების ანალიზი. ამასთან, DSGE მოდელის მეშვეობით მოხდა შოკის შემუშავება და მიღებული შედეგების ანალიზი საგადასახადო დანახარჯების ეკონომიკაზე გავლენის შესაფასებლად. გრძელდება ბიუჯეტისთვის მოსალოდნელი რისკების ანალიზი და შესაბამისი “Heatmap”-ის გამოყენება. შემუშავებულია სხვადასხვა ე.წ სატელიტური მოდელები, რაც სხვადასხვა ცვლადის

ურთიერთკავშირსა და შოკის სიდიდეებს განსაზღვრავს. აღნიშნული მოდელების გამოყენება მოხდა საგადასახადო დანახარჯების გავლენის შეფასების ანგარიშში რაოდენობრივი დაანგარიშების პროცესში.

1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა სტრეს-ტესტის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში განხორციელებული სტრეს-ტესტის ანალიზი ეხებოდა საგადასახადო შეღავათებიდან გამომდინარე შესაძლო შედეგების ანალიზს.

1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2024 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენებისთვის განახლდა მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი, ასევე - მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მაკროეკონომიკური პროგნოზების შედარების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად. რაც შეეხება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს 2024-2027 (BDD), რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის საშუალოვადიან ჩარჩოს, იგი მომზადდა ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად და გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. დაწყებულია მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) ერთად შემოსავლების საშუალოვადიანი სტრატეგიის (MTRS) შემუშავებაზე, რის ფარგლებშიც სექტემბერში ჩატარდა მისია დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით ძირითადი ასპექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე.

1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომკური პროგნოზირების კუთხით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მაკროეკონომიკური პროგნოზები ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენებისთვის.

1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორიცაა Fitch, Moody's და S&P. მიმდინარე წელს განხორციელდა სამივე სარეიტინგო კომპანიასთან შეხვედრები როგორც დისტანციურ, ასევე - პირისპირ შეხვედრების ფორმატში, რის ფარგლებშიც მოხდა საჭირო ინფორმაციის მიმოცვლა და საქართველოს სუვერენული რეიტინგის განახლება. კალენდრით გათვალისწინებული პერიოდის გარდა, ელექტრონული ფორმითა და სატელეფონო საუბრის საშუალებით გრძელდება აქტიური კომუნიკაცია სარეიტინგო კომპანიებთან, საქართველოს ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების შესახებ მათი მუდმივი ინფორმირების მიზნით. მიმდინარე პერიოდისთვის საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია: Fitch BB პოზიტიური, S&P BB სტაბილური, Moody's Ba2 ნეგატიური. მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია სააგენტოების წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით, რა დროსაც მათ ეცნობებათ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების ან იმ საკითხების შესახებ, რაც მათთვის აქტუალურია. მესამე კვარტალში ჩატარდა შეხვედრები სარეიტინგო კომპანია S&P და Moody's-ის წარმომადგენლებთან.

1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანალიზის მომზადება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად ჩატარდა შეხვედრები როგორც დისტანციურ რეჟიმში, ასევე - მისიის ექსპერტები იმყოფებოდნენ საქართველოში, სადაც მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტისა და საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტების თანამშრომლებთან მოხდა სამუშაო შეხვედრები საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიშის მომზადების შესახებ. შედეგად, მომზადდა საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში და ბიუჯეტის კანონს თან გაყვა პირველივე წარდგენისას, რომელიც განახლებულია 2022 წლის მონაცემებით. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ექსპერტებთან კომუნიკაციისა და დეპარტამენტში შემუშავებული სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელების დახმარებით მომზადდა საგადასახადო დანახარჯების გავლენის შეფასების ანგარიში, რაც დასრულების ეტაპზეა და გულისხმობს კომენტარების გათვალისწინებას მის საბოლოო გამოქვეყნებამდე.

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის: დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტების შეფასება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე - გრძელვადიანი პერიოდისთვის.

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორ წლიური, აგრეთვე - კვარტალური და თვიური სიხშირით, გასულ წელს სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიწყო GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემების გამოქვეყნება. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც ქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად. ამასთან, გრძელდება სამთავრობო სექტორისა და ცენტრალური მთავრობის ქვესექტორის საბალანსო ოპერაციების გამოქვეყნება 2019 წლის შემდგომი პერიოდიდან.

VI - ფისკალური რისკები

1.1 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილებით მიიღო საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია. სახელმწიფო კორპორაციების/სახელმწიფო საწარმოების შესახებ კანონის პროექტის და მასთან დაკავშირებული

კანონქვემდებარე აქტების შემუშავება აღნიშნული სტრატეგიის თანმდევია. 2023 წელს მოხდება საკანონმდებლო ინიციატივის სახით მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა სახელმწიფო საწარმოების შესახებ კანონის კონცეფცია.

1.2 <u>სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის პილოტირება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილებით განსაზღვრულ საწარმოებში</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის შემოღება. საპილოტე საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოს შესარჩევი კომისიის შექმნის, საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლების, ანაზღაურების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, წახალისების/სანქციერების გარდამავალი წესის დამტკიცება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023 წლის პილოტირების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის განკარგულებით სახელმწიფო საწარმოთა დუალისტური მოდელის პილოტირება დაიწყო 3 სახელმწიფო საწარმოში. კერძოდ, 2023 წლის 8 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის N475 განკარგულების შესაბამისად, გააფორმეს ხელშეკრულებები „შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 50% და სს „საქართველოს რკინიგზის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების 50% მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ და ,,შპს ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ რომლის ხელშეკრულების მხარედ განისაზღვრა ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის მართვაში დარჩა შპს ,,საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის” წილის 50%.

განკარგულების ძალაში შესვლის თანავე, ისეთი საკითხების როგორიცაა საწარმოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა, სარგებლობის უფლებით გადაცემა, საწარმოების კაპიტალიდან ქონების ამოღება და კაპიტალში სახელმწიფო ქონების შეტანა, საწარმოების წლიური ბიუჯეტის და ბიზნეს გეგმის განხილვა და სხვა პარტნიორები/აქციონერი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებენ ერთხმად.

<u>1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველო ფინანსთა სამინისტრო თან დაურთავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს. დოკუმენტში, სულ მცირე, შენარჩუნდება 2022 წლის სტანდარტი. ამასთან, დამატებით დაიხვეწება გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზის მიმართულება.

პერიოდი: ივლისი - დეკემბერი

პროგრესი: ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი დაერთო „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს. დოკუმენტი მოიცავს სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური შედეგების მიმოხილვას, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების და ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებიდან (PPA) მომდინარე პირობითი ვალდებულებების, ასევე განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის ფასთა სხვაობის ხელშეკრულებების (CFD, FiPs) ანალიზს, სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკებს.

გრძელვადიანი ფისკალური რისკების ნაწილში განხილულია სტიქიური მოვლენებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფისკალური რისკები და დემოგრაფიული (მოსახლეობის დაბერება) რისკები.

დოკუმენტი მომზადებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პუბლიკაციების ვებ-გვერდზე ქართულად https://mof.ge/5677 და ინგლისურად https://mof.ge/en/5374.

1.4 სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №1012 განკარგულების სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესისის შესაბამისად, განკარგულებით გამიჯნულ საწარმოების კორპორატიული განძრახვის განაცხადის შეთანხმება.

პერიოდი: სექტემბერი - დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 7 სახელმწიფო საწარმოსთან ახორციელებს საწარმოთა ფინანსურ ზედამხედველობას. განკარგულებით დადგენილი ვადის გათვალისწინებით, საწარმოებმა ფინანსთა სამინისტროში წარადგინეს 2023 წლის და შემდგომ 2024 წლის კორპორაციული განზრახვის განაცხადები (კგგ) და სამინისტროსგან მიიღეს რეკომენდაციები. საწარმოების მართვა კგგ-ს საფუძველზე წარმოადგენს საწარმოთა სტრატეგიული მართვის კარგ საერთაშორისო სტანდარტს, რაც ხელს უწყობს საწარმოებში პროგნოზირებადობის და შედეგზე ორიენტირებული მართვის და ფინანსური გამჭვირვალობის პრაქტიკის განვითარებას.

VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1.1 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. შემუშავებული და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიში. 2. მინიმუმ 5 ცენტრალურ სამინისტროში განსაზღვრულია რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც გადამზადებულნი არიან ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით. 3. მინიმუმ 3 მუნიციპალიტეტში შემუშავებულია ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების განხორციელების სამოქმედო გეგმები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ მომზადებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2022 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N893 განკარგულებით).

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის პილოტური დანერგვის პროცესში ჩართულ 6 სამინისტროში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო) განსაზღვრულია დაწესებულების დონეზე რისკის მართვის პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირები. რისკის მართვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, აღნიშნული პირები სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტისა და შვედეთის ფინანსური მართვის ეროვნული უწყების (ESV) თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ სტოკჰოლმში (შვედეთი). სასწავლო ვიზიტისას გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააზიარეს პრაქტიკული გამოცდილება და დაწესებულებაში დანერგილი რისკის მართვის წარმატებული მიდგომები. რისკის მართვის პროცესის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირები, ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინირებით მუდმივად არიან ჩართული ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში.

2 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი ზუგდიდსა და მცხეთაში შემუშავებულია სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების განხორციელების სამოქმედო გეგმები. ამასთან, ფოთის მუნიციპალიტეტში მოხდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამატებით 8 მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია, ზემოთ ხსენებული შეფასების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

1.2 შიდა აუდიტის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია მინიმუმ 20 შიდა აუდიტორი. 2. შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის სახელმძღვანელო და განხორციელებულია მინიმუმ 1 პილოტური პროექტი აღნიშნულის შესაბამისად. 3. განხორციელებულია შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მინიმუმ 20 მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით, შემუშავდა პროგრამით გათვალისწინებული ოთხივე მოდულის სახელმძღვანელო, მომზადდა თვითშეფასების კითხვები თითოეული მოდულისთვის თავების მიხედვით, შეირჩა ტრენერების წყვილები თითოეული მოდულისათვის, შემუშავდა სერტიფიცირების ეროვნული პროგრამის დეტალური კალენდარი, მომზადდა სერტიფიცირების ეროვნული პროგრამის განფასება, შემუშავდა საგამოცდო ტესტები. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით 20-მა შიდა აუდიტორმა გაიარა ტრენინგ კურსი პირველ და მეორე მოდიულებში. ასევე, აღნიშნული ჯგუფისთვის ჩატარდა გამოცდა პირველ მოდულში.

ამასთან, USAID-ის საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამებთან მიღწეულია შეთანხმება, რომელიც გულისხმობს დამატებით ერთი ჯგუფის დაფინანსებას, რომელიც 2024 წლის იანვრის თვიდან ჩაერთვება სერტიფიცირების პროგრამაში.

სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების პროგრამის ფარგლებში“, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს მსოფლიო ბანკი, Ernst and Young-ის თურქეთის და საქართველოს ოფისების ჩართულობით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს პილოტური აუდიტორული შემოწმებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და სსიპ შემოსავლების სამსახურში. პილოტურ პროექტებს წინ უძღვდოდა ტრენინგები ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულებით, რომლებიც განხორციელდა Ernst and Young-ის ჩართულობით.

შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი მიმდინარეობს 50-მდე შიდა აუდიტის სუბიექტში.

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგებების პორტალის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის განხორციელებული ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები (მათ შორის, საინფორმაციო ვიდეოები, ჩატარებული პრეზენტაციები, ტრენინგები, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მასალების განთავსება ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაში);

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებული 75 000-ზე მეტი საწარმოს 2021 და 2022 წლის ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**);

პროგრესი:

2023 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები:

1. საწარმოების წარმომადგენლებისთვის, 27 ნოემბერს მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საწარმოთა ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე შიდა პოლიტიკის დანერგვის, განხორციელების და გარემოზე ზემოქმედების შემცირების კუთხით. შეხვედრაზე განხილულ იქნა მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები, რომლებიც მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს. შეხვედრას IFC-ის მიერ მოწვეული დარგის ექსპერტები - ჯერომ ლავინი და რალიცა გერმანოვა უძღვებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა მათთვის საინტერესო საკითხებზე მომხსენებლებისგან მიიღეს ამომწურავი პასუხები. https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2671
2. 22 ნოემბერს, სამსახურმა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდთან (IFRS Foundation) თანამშრომლობით, ყოველწლიურ ღონისძიება 2023 წელს მეშვიდედ გამართა, ბუღალტრებისა და აუდიტორებისათვის, ასევე სდპ, I და II კატეგორიის საწარმოებისთვის. შეხვედრაზე განხილული იქნა ფასს სტანდარტები, ფასს სტანდარტების განახლებები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტები. https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2667
3. სამსახური ჩაერთო საერთაშორისო კონფერენციაში „Uniting Business Europe“, რომელმაც ერთ სივრცეში გააერთიანა მაღალი რგოლის აღმასრულებლები, როგორც საჯარო, ისე ბიზნეს სექტორიდან და კორპორაციებიდან, მათ შორის მდგრადობის ექსპერტები და გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების წარმომადგენლები ევროპის 30 ქვეყნიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან და ცენტრალური აზიიდან. აღსანიშნავია, რომ სამსახურის უფროსი, კონფერენციის პანელური დისკუსიის „ხვალინდელი დღის გადაფასება: ESG და ევროკავშირის მარეგულირებელი ცვლილებები ფოკუსში“ მომხსენებელი გახლდათ. სამსახური, კანონმდებლობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და ორგანიზაციების ხსენებულ სტანდარტებთან ადაპტაციის პროცესში ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რათა მათ შეძლონ შესაბამისი ხარისხის ანგარიშგებების მომზადება და წარდგენა. https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2658
4. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა II“ პროექტის ფარგლებში, Country-By-Country Reporting მოთხოვნების დანერგვის საკითხზე, ცნობიერების ამაღლებისა და პროცესის შემდგომი ინიცირების საჭიროებებზე სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის თანამშრომლებს, 14-29 დეკემბერს დარგის საერთაშორისო ექსპერტის მხრიდან ექსპერტული დახმარება გაეწიათ. პროექტის ფარგლებში, გაიწერა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სამსახურისთვის ღირებულია ცვლილების ინიციირებისა და განხორციელებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ სამსახური ინტენსიურად მუშაობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში კანონმდებლობის დინამიურ აპროქსიმაციაზე, მნიშვნელოვანია კომპეტენციურად კუთვნილ საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება. ღონისძიებას თემატურად დაკავშირებულ სხვა უწყებათა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2672

ანგარიშგებების პორტალზე (www.reportal.ge) 2023 წლის მეოთხე კვარტალში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შემოწმდა და გასაჯაროვდა სდპ-ების, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების/შესაბამისი ჯგუფების 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდზე, 1 047 საწარმოს 1,061 ანგარიშგება - მათ შორის - სდპ-ის 3, 1-ლი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 2, მე-2 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 19, მე-3 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 119, მე-4 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 918 ანგარიშგება.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდზე კი, 26 346 საწარმოს 26 919 ანგარიშგება გასაჯაროვდა, მათ შორის - სდპ-ის - 50; 1-ლი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 163; მე-2 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 536; მე-3 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 4 254; მე-4 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 21 916 ანგარიშგება.

ჯამში, 2023 წლის მე-4 კვარტალში გასაჯაროვდა 27 980 ანგარიშგება.

2. ანგარიშებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFSR, IFRS for SMEs) შესაბამისობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საშუალოდ 40 ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მეოთხე კვარტლის პროგრესი: 2023 წლის მეოთხე კვარტალში ანგარიშებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFSR, IFRS for SMEs) შესაბამისობის შემოწმების მიზნით მიმოხილული იქნა 13 ანგარიშგება.

3. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

3.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 30 აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

პროგრესი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, სდპ ფირმების მონიტორინგი ტარდება საშუალოდ 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო არა-სდპ ფირმების მონიტორინგი ტარდება საშუალოდ 6 წელიწადში ერთხელ.

2023 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარდა 15 მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი.

4. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა

4.1. ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრის წარმოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გაფართოებული წრით მოცული ანგარიშვალდებული პირების აღრიცხვა შესაბამის რეესტრში.

პროგრესი:

2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, 2023 წლის 31 მაისიდან შექმნილ პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრებში რეგისტრაცია წარმატებით გაიარა 445-ზე მეტმა პირმა. რეგისტრაციის პროცესი მუდმივ ხასიათს ატარებს.

4.2. სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გამოცემულია კანონქვემდებარე აქტები რომლებიც ფარავს პრევენციული ღონისძიებების, რისკების შეფასებისა და მართვის, შესაბამისობის კონტროლის სისტემის, საზედამხედველო ორგანოს მიმართ ანგარიშვალდებულების, ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრისა და ინსპექციებისა და აღსრულების საკითხებს.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი.

პროგრესი

2023 წლის 9 ნოემბერს, ძალაში შევიდა სამსახურის უფროსის №6-14 ბრძანებით დამტკიცებული, „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“.

წესი მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულ პირთათვის, კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლისა და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების შექმნას, რათა ხელი შეეწყოს ანგარიშვალდებულ პირებს, სამუშაო პროცესები წარმართონ კანონის, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებისა და ევროკავშირის ფულის გათეთრების დირექტივების (2015/849 და 2018/843) შესაბამისად.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II“ პროექტის ფარგლებში, სამსახურს ექსპერტული მხარდაჭერა გაეწია. საერთაშორისო ექსპერტი სამსახურის თანამშრომლებს შესაბამისი დოკუმენტაციისა და მეთოდოლოგიების ჩამოყალიბებაში დაეხმარა, რაც სამსახურს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ანგარიშვალდებულ პირებთან, მათ შორის პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტრებთან, საბუღალტრო ფირმებთან, სერტიფიცირებულ ბუღალტრებთან, აუდიტორებთან და აუდიტორულ ფირმებთან მიმართებით ზედამხედველობის განხორციელებისას.

4.3. ანგარიშვალდებულ პირთა წრის ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გამოცემულ სამართლებრივი აქტების მიმართულებით ანგარიშვალდებული პირებისთვის ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების პრეზენტაციები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი.

პროგრესი:

2023 წლის 13 ნოემბერს, სამსახურმა ანგარიშვალდებული პირებისთვის, ფულის გათეთრების მიმართულებით განგრძობითი განათლებით, ასევე განგრძობითი განათლების მომსახურების მიწოდებით დაინტერესებულთათვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

ონლაინ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით განგრძობითი განათლების საკითხზე შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რასთან დაკავშირებითაც სამსახურის შესაბამისი მიმართულების გუნდმა დაინტერესებულ პირებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

2023 წლის 22 დეკემბერს, სამსახური გამართავს ,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, ანგარიშვალდებული პირებისთვის საინფორმაციო შეხვედრას, სადაც განიხილება სამსახურის მიერ გამოცემული „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი“. აგრეთვე ონლაინ შეხვედრის დროს უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კონსულტაციების გაცემა დაინტერესებული პირებისათვის.

სამსახური მუდმივ რეჟიმში და დაუყოვნებლივ ახორციელებს პროაქტიულ თანამშრომლობას ანგარიშვალდებულ პირებთან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით.

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კონფიგურაციის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი მოდულის გაშვება რეალურ გარემოში; სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების სისტემის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე; წლიური და კვარტალური ბიუჯეტების დამტკიცებისას ბალანსის შემოწმების და ნაშთებით ავტომატურად დაბალანსების მექანიზმის შემუშავება; ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების ფუნქციონალის გაფართოება; დინამიური ანგარიშგების დოკუმენტების ფუნქციონალის გაფართოება; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2023 წლისათვის; ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ანგარიშგების დოკუმენტებში დაემატა კონკრეტული თარიღობრივი შუალედის ხარჯის დათვლის ფუნქციონალი; დაემატა ახალი ანგარიშების დოკუმენტი, რომელიც ყოველღამე ავტომატურად გენერირდება; შევიდა ცვლილებები ბიუჯეტების თავების რეპორტებში და პროგრამული ბიუჯეტის დანართის რეპორტში; რეალურ გარემოში ჩაეშვა ბიუჯეტის მომხმარებლების ვერიფიკაციის მექანიზმი როგორც ბიუჯეტის, ასევე სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების სისტემებისთვის; ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში დაკონფიგურირდა 2024 წლის სამუშაო პერიოდი; შევიდა ცვლილებები საინვესტიციო პროექტების დამუშავების ნაწილში; დაემატა

განმკარგავების და პროგრამული კოდების ახალი ტიპი, ასევე შევიდა სხვა აუცილებელი ცვლილებები განმკარგავების კონფიგურაციის ნაწილში; სისტემაში შევიდა 32 შესწორება და აღმოიფხვრა 37 ხარვეზი.

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისათვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება, ახალი ანგარიშთა გეგმის შესაბამისად (მუნიციპალიტეტების გადახდები) ინვოისის და სახელფასო ოპერაციების ლოგიკის ცვლილება ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია; მრავალწლიანი ხელშეკრულებების ავტომატური იმპორტი ახალ სამუშაო პერიოდში, არარეგისტრირებული მრავალწლიანი ხელშეკრულებების დაბლოკვის ფუნქციონალი; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - დაემატა სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონალი, მიმღების საბანკო ანგარიშის შემოწმების პროცესის ბანკების ჭრილში ჩართვა/გამორთვის და მიღებული სტატუსის კოდის დამუშავების ფუნქციონალი; სსიპ-ს მოდულში დაემატა ახალი ოპერაცია- თანხის ბიუჯეტში გადატანა; დაიხვეწა პირველადი დოკუმენტების და მოთხოვნების CPV კოდების კონტროლის, მოთხოვნების მწვანე დერეფნის, თანამშრომლების მოდულის და უწყისის ფუნქციონალები; მხარჯავების პორტალს დაემატა ვალდებულებების, ტრანსფერებისა და არასახელფასო პაკეტების ვალიდაციები და თანამშრომლების დაშვებების რეპორტი; ბექ ოფისს დაემატა საბიუჯეტო კოდების ადმინისტრირების საშუალება, ბიუჯეტების ბალანსის, ადგილობრივი ბიუჯეტების ბალანსის, საბიუჯეტო გადარიცხვების, ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელების, სსიპ-ების ხარჯების, სახაზინო კოდების, გადარიცხული საგადახდო მოთხოვნების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელებისა და შემოსავლების რეპორტები, ამასთან ერთად მოხდა არსებულ რეპორტებში სახელმწიფო საწარმოების მონაცემების შესაბამისი ლოგიკით დამატება; შეიცვალა განმკარგავების მართვისა და ღონისძიების ნაშთების ადმინისტრირების ფუნქციონალები; საფინანსო უწყების პორტალზე დაემატა ადგილობრივი ბიუჯეტის ტიპის სახელმწიფო საწარმოების მონაცემების დათვალიერების და დამუშავების საშუალებები სახელმწიფო საწარმოს დამფუძნებლის ბიუჯეტის შესაბამისად; ბუღალტერიის მოდულში მოხდა მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია, დაემატა ბუღალტრული ანგარიშების გადახურვის ფუნქციონალი, შეიცვალა სისტემურ ოპერაციებში დაფინანსების ანგარიშების გაყოფის ლოგიკა და ანგარიშგება„დანართი 1“; ჩარიცხვების სისტემას დაემატა SMS კოდით ავტორიზაციის საშუალება; ხაზინის ბუღალტრული გატარებების გარე სერვისს დაემატა ორგანიზაციების შემოსული თანხების ტრანზაქციების ჩატვირთვის მეთოდი. eTreasury სისტემის ოპტიმიზაციის ამოცანის ფარგლებში დასრულდა ორი იტერაცია, რომლის ფარგლებში მოხდა ფართიშენის უზრუნველყოფა და ვალდებულებების, ხელფასების, პაკეტების მოდულების არსებული კოდის რეფაქტორინგი.

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგარეო ვალის მომსახურების ახალი ანგარიშგების დოკუმენტების შექმნა; ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების გეგმიური ინფორმაციის დაზუსტების ფუნქციონალის გაფართოება და სრულყოფა; პროექტებზე ჩამორიცხვების ფუნქციონალის გაფართოება - სერვისების აწყობა ხაზინის სისტემასთან ფაქტიური შემოსულობების ხაზინის სისტემიდან წამოღების მიზნით; საგარეო ვალის საკრედიტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ამოცანების ანალიტიკა; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - დაემატა ახალი ანგარიშგების დოკუმენტი - ხელმოწერილი პროექტები; აუქციონის შედეგების ფორმაზე დაემატა ახალი ველები; აუქციონის შედეგებისა და სახაზინო ემისიების ინტერფეისებში დაემატა ახალი ველები; არსებულ ანგარიშგების დოკუმენტებში შევიდა ცვლილებები პროექტების იდენტიფიცირების ნაწილში; დაკონფიგურირდა 2024 წლის სამუშაო პერიოდი; შევიდა ცვლილებები კომპონენტებისა და საინვესტიციო ცვლილებების ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში გაგზავნის სერვისში; დაოპტიმიზირდა და ინფორმაციულად დაიხვეწა საშინაო და საგარეო ვალის უმეტესობა რეპორტი; გაკეთდა და ტესტირების რეჟიმშია 4 ახალი დავალება - პროექტებზე სფეროების დაბმის ფუნქციონალი; ცვლილების ცნობების კოპირების ფუნქციონალი; წლიური საბიუჯეტო ფაილის წინა პერიოდიდან იმპორტის ფუნქციონალი; კვარტალური საბიუჯეტო ფაილის დამატების ფუნქციონალი; სისტემაში შევიდა 152 შესწორება.

სისტემაში შევიდა 45 შესწორება და აღმოიფხვრა 4 ხარვეზი.

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემაში დამატებული ახალი მოდულების: შეფასების მოდულის, პროფესიული განვითარების მოდულის, რეპორტის კონსტრუქტორის და self-service პორტალის ტექნიკური მხარდაჭერა და დახვეწა/განვითარება/მოდერნიზება ახალი მოთხოვნების შესაბამისად; საინტეგრაციო პროცესების უზრუნველყოფა გარე სისტემებთან უკვე განსაზღვრული და შემუშავებული პროტოკოლის შესაბამისად (მონაცემების ექსპორტი და იმპორტი eHRMS სისტემაში სხვა HR სისტემებიდან); სისტემაში ახალი მოთხოვნების რეალიზება და მომხმარებელთა მუდმივი მხარდაჭერა; საჯარო ორგანიზაციებში სისტემის დანერგვის პროცესის გაგრძელება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა მუდლის სისტემასთან ინტეგრაციის ტექნიკური სამუშაოები სისტემის რეალურ გარემოში. სისტემას დაემატა ორი ახალი სტატიკური ანგარიშგება. მოთხოვნის შესაბამისად განახლდა და დაიხვეწა შეფასების მოდულთან დაკავშირებული ყველა ანგარიშგება. მიმდინარეობს სისტემაში შვებულებისა და დასწრების ტაბელის მოდულების განახლება, კერძოდ სისტემაში შვებულების ახალი ტიპის დამატება.

განხორციელდა შეფასების მოდულების ცალკეული კომპონენტების ოპტიმიზაცია, ასევე განხორციელდა სტრუქტურასთან მიმართებაში არსებული ლოგიკის ცვლილება. ახალი მოთხოვნების შესაბამისად სისტემაში განახლდა საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) მართვის ფუნქციონალი.

განხორციელდა დანიშვნის და ანაზღაურების ფუნქციონალის ლოგიკის ცვლილება და სამუშაო გამოცდილების ფუნქციონალის ოპტიმიზაცია.

მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევევის იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება; ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO27001 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება; მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია (დოკუმენტ ბრუნვის, ხაზინის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია, ბაზების დაყოფა ცალ-ცალკე წლების მიხედვით და ძველი მოძველებული მონაცემების შემდგომ განთავსება დაბალი წარმადობის სანახ სისტემებზე); ახალი ჰიპერკონვერგენტული სისტემის სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების შემდგომი გაფართოება; ვირტუალური ინფრასტრუქტურის (Vcenter,ESX) განახლება 7.0 ვერსიამდე, სერვერების ოპერაციული სისტემების ვერსიების ამაღლება და ვირტუალური სერვერების მიგრაცია ახალ სისტემაზე; სასერვეროების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია გაგრილების სისტემის განახლება. ვებ აპლიკაციის ფაერვოლის (WAF) და ბალანსერის შეძენა დანერგვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა პრივილეგირებული მომხმარებლების (PAM) სისტემის ინსტალაცია/ინტეგრაცია. ქსელური ვირტუალიზაციის და უსაფრთხოების პლატფორმის (NSX-T) გარემოს გამართვა სატესტო რეჟიმში. McAfee უსაფრთხოების სისტემების განახლება/მიგრაცია Trellix სისტემაზე. ფინანსთა სამინისტროს და მისი ქვესტრუქტურების სერვერებზე გამოვლენილი სისუსტეების-დაუცველობის (vulnerability) აღმოფხვრა (HAProxy ბალანსერის ვერსიების განახლება, სერვისების TLS ვერსიების ამაღლება, სხვადასხვა სახის მოწყვლადობების აღკვეთა). ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMCVxRail (34 სერვერის) სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის განახლება.

დანართი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

<u>დანართი</u>

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#	მიმართულება/ღონისძიება	დაფინანსების მთლიანი მოცულობა/დაფინანსების წყარო (ლარი)
	I - ბიუჯეტირება	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		3,500,000
1	**ბიუჯეტის მართვის სრულყოფა**	**3,500,000**
1.1	წლიური ბიუჯეტის კანონის შემუშავება	400,000
1.2	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	400,000
1.3	პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	500,000
1.4	პროგრამების ეფექტიანობის შეფასება (Spending Review)	250,000
1.5	საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	250,000
1.6	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	600,000
1.7	წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	400,000
1.8	საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	100,000
1.9	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	400,000
1.10	საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	50,000
1.11	სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება	150,000
	II - მთავრობის ვალის მართვა	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		3,650,000
1	მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის განახლება	1,300,000
2	სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება	750,000
3	**მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება**	**1,600,000**
3.1	ვალდებულებების მართვის ოპერაციების ფარგლებში ახალი ინსტრუმენტების დანერგვა	800,000
3.2	პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება	800,000

	III - აღრიცხვა და ანგარიშგება	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		2,825,000
1	**დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა**	**1,000,000**
1.1	IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება	300,000
1.2	საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა	450,000
1.3	**მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე**	250,000
2	**სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება**	**1,825,000**
2.1	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება	325,000
2.2	საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)	1,300,000
2.3	სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	200,000

	IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა 23 02 - შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუჯობესება**
		19,145,000
1	**საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება**	**2,600,000**
1.1	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	500,000
1.2	საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	500,000
1.3	საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	500,000
1.4	საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	1,100,000
2	**საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება**	**13,596,000**
2.1	გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგის განსაზღვრა	200,000

2.2	მონაცემთა საცავში (Data Warehouse) რისკის კრიტერიუმების ავტომატიზაცია და მასში ახალი წყაროების მონაცემების ასახვა	480,000
2.3	ძირითად გადასახადებში დეკლარაციების ავტომატური კონტროლის სისტემის დანერგვა	4,600,000
2.4	სამიზნე ჯგუფებში კანონშესაბამისობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება	2,180,000
2.5	სარეგისტრაციო მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება	1,210,000
2.6	დროული დეკლარირების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება	380,000
2.7	eTIR სისტემის დანერგვა	400,000
2.8	საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა	3,546,000
2.9	სამსახურის სერვისების ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება	600,000
3	**ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა**	**2,949,000**
3.1	საბაჟო მონაცემთა საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია	540,000
3.2	ISO 27001 სტანდარტის დანერგვა	70,000
3.3	ოპერაციული რისკების შემუშავება	1,939,000
3.4	ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) დანერგვა	400,000
	V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		1,900,00
1	**მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**	**1,020,000**
1.1	მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	140,000
1.2	ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება	130,000
1.3	მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება	55,000
1.4	ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	145,000
1.5	სტრეს-ტესტების ანალიზი	115,000
1.6	საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	100,000
1.7	სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომკური პროგნოზირების კუთხით	90,000
1.8	ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია	115,000
1.9	საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა	130,000
2	**შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**	**880,000**

2.1	ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება	585,000
2.2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით	295,000
	VI - ფისკალური რისკები	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		700,000
1	სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	208,000
2	სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის პილოტირება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილებით განსაზღვრულ საწარმოებში	148,000
3	ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება	235,000
4	სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობა	109,000
	VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
1	**სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება**	**600,000**
1.1	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება	420,000
1.2	შიდა აუდიტის განვითარება	180,000
	VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	**23 06 - ბუღალტრული, აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა**
	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	**1,882,000**
1	**ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება**	**260,000**
1.1	ანგარიშგებების პორტალის განვითარება	261,000
2	**ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა**	**332,000**
2.1	ანგარიშებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFSR, IFRS for SMEs) შესაბამისობის მიმოხილვა	332,000

3	**აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა**	**890,000**
3.1	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა	890,000
4	**ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა**	**400,000**
4.1	ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრის წარმოება	100,000
4.2	სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა	100,000
4.3	ანგარიშვალდებულ პირთა წრის ცნობიერების ამაღლება	200,000
	IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები	**23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა** 6,491,200
1	**საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება**	6,491,200
1.1	eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	862,900
1.2	eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	2,052,300
1.3	eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	443,100
1.4	eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1,046,400
1.5	ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა	2,086,500